დადგენილება №49/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნე-ბის" მიმართულებებზე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის მოდულის ბლოკ-ში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება №49/2020, 22 ივლისი, 2020

დადგენილება №49/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნების" მიმართულებებზე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის მოდულის ბლოკში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ" ქვეპუნქტის, საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 18 ივლისის ივლისის N7 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის N26 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო პროგრამაზე "საშემსრულებლო ხელოვნება" საუნივერსტეტო სასწავლო კურსის ბლოკში შემდეგ დისციპლინებში:
   ა) ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა გახდეს ერთსემესტრიანი (V სემესტრი) იგივე საათების გათვალისწინებით
   ბ) ინფორმატიკა გადავიდეს არჩევით საგნად
2. აღნიშNული ცვლილებები განხოეციელდეს საბაკალავრო პროგრამა "საშემსრულებლო ხელოვნება" შემდეგ მიმართულებებზე: სოლო აკადემიური სიმღერა, კლავიშიანი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, საორკესტრო სიმებიანი საკრავები,
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე